

მარინა ქაცარავა

შოთა რუსთაველის ენის საკითხები
ქართულ ენათმეცნიერება
(შ. ძიძიგური, მ. ალავედი) შრომებში

გამოჩენილი ენათმეცნიერი ნიკო მარი წერდა: „ქართველების მიერ რუსთაველის სავსებით შეთვისება-შეცნება რეალურად შეაერთებს მთელ ქართველობას“.

ეს არის ზედმიწევნით ზუსტი შეფასება გენიალური ნაწარმოებისა, მით უმეტეს დღეს, როცა ეს ასე აქტუალურია. „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი სამყარო მომხიბლავი და წარმტაცია. აქ ქართული ენის სტიქიამ თავისი მძლავრი გამოხატულება და ხორცშესხმა ჰპოვა.

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით დაინტერესება ყოველთვის დიდი იყო. 1966 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, აგრეთვე პოემის უმთავრესი გამოცემები, ვარიანტები და საზოგადოებისათვის ასე თუ ისე ცნობილი გახდა მრავალი ისეთი ფაქტი, რომელიც სპეციალისტთათვისაც კი ძნელად ხელმისაწვდომი იყო.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა არაერთ მკვლევარს შეუსწავლია. საკმარისია დავასახელოთ უდიდესი მეცნიერები: ნ. მარი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ივ. გიგინეიშვილი, შ. ძიძიგური, მ. ალავედი, კ. დანელია, ვ. ბერიძე, შ. ლლონტი და სხვა.

ჩვენი კვლევის მიზანია წარმოვადგინოთ აკად. შ. ძიძიგურისა და პროფ. მ. ალავედის ნაშრომები უკვდავი შ. რუსთაველის გენიის ნაყოფზე.

შ. ძიძიგურს ეკუთვნის ნარკვევი „შოთა რუსთაველის ენის საფუძვლები“. მეცნიერი თავის გამოკვლევაში წინ წამოწევს იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთაველი ენის დემოკრატიზაციის დიდი მედროშეა და ახალი ლიტერატურული ნორმალიზაციის მესაძირკვე.

ენათმეცნიერს აოცებს რუსთაველის სიტყვათშემოქმედებითი სითამამე და გაბედულება. გენიალური პოეტი იმორჩილებს ქართულ ენას ისე, როგორც არავინ და მის ზღარბებში აჩენს „ობოლ მარგალიტებს“, რომელთაც არასოდეს არ ღირსებით ლიტერატურული გამოხატულება. შოთა რუსთაველის შთამწვდომ ენობრივ ალღოს არ გამოჰპარვია ენის არც ერთი ხვეული და ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი მეტყველების ამოუწურავი საუნჯეა, მომხიბლავი ელვარების სიუხვითა და ნაირნაირობით, მომაჯადოებელი თქმის ფერადოვნებით, მუსიკალური ჟღერადობით თუ ვერსიფიკატორული შესაძლებლობებით, როგორც შ. ძიძიგური მიუთითებს, გენიალური მგოსანი არასოდეს დალატობდა ქართული მორფოლოგიის კანონზომიერებას და ამიტომ მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმები ბუნებრივია და ენის თვისებიდან გამომდინარე.

შ. ძიძიგური მკვეთრად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთაველმა ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით ახალი მიმართულება მისცა ქართულ

სალიტერატურო ენას. პოეტის ენაში მძლავრად შემოიჭრა ახალი ენობრივი ნაკადი, მომდინარე ქართული დიალექტური სამყაროდან.

ენაში ამოტივტივდა შესანიშნავი ფრაზეოლოგიური შენაერთები და სიტყვიერი ერთეულები. რომლებიც საუკუნეთა მანძილზე თვლემდნენ ხალხური მეტყველების ფენებში და მათ რუსთაველამდე არ ღირსებია ლიტერატურული გამოხატულება ასე ფართოდ და მთელი სისავსით. რუსთაველის ენა ქვეშარიტად ხალხურია და მალალ ლიტერატურულ ხარისხშია აყვანილი.

შ. ძიძიგური ძალზე მკაფიოდ მიუთითებს ნ. მარის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს. მას მიაჩნია, რომ შოთას ენის საყრდენად უნდა მივიჩნიოთ არა ცალ-ცალკე აღებული აღმოსავლური თუ დასავლური კილოები, არამედ ისეთი კილო, რომლის სტრუქტურაში ერთსა და იმავე დროს შერწყმულია ქართული ხალხური მეტყველების ორივე განშტოება. ასეთად კი მას მიაჩნია სამხრეთ საქართველოს მეტყველება. ეს კი ახსნილია იმით, რომ სამხრეთ საქართველო გეოგრაფიული კონტურებით ებჯინება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. უადრესად მნიშვნელოვანია ეთნიკური შერევის ფაქტორი, რამაც ისტორიულად განსაზღვრა მესხეთის ლინგვისტური სახე.

მესხურ დიალექტურ სამყაროსთან რუსთაველის ენის დაკავშირების თვალსაზრისით ერთგვარი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, – წერს შ. ძიძიგური, – რომ „ვეფხისტყაოსანში“ არსებული სიტყვების დიდი ნაწილი დღეს მხოლოდ მესხურშია ცოცხალი. ასეთი სიტყვებია: ყანდი, რემა, ეჯიბი, მიწურვა და მრავალი სხვა.

ცნობილია, რომ რუსთაველის ენის შემადგენლობაში სამხრეთ საქართველოს მეტყველების კვალის ძიება ეკუთვნის ნ. მარს, არნ. ჩიქობავას, აკ. შანიძეს.

შ. ძიძიგურს დიდი გეგმები ჰქონდა; იგი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლების არა მარტოდენ ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შესწავლა, არამედ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტური ნიშნების გამოკვეთა, რომელთა გათვალისწინებით უფრო ნათლად გამოირკვევა სამხრეთ საქართველოს ხალხური მეტყველების ხვედრითი წონა საერთოდ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციაში.

შ. ძიძიგური საყურადღებო ცნობებს იძლევა პროსოდიული „და“-ს შესახებ „ვეფხისტყაოსანში“.

აქ საგანგებოდ განიხილება ნ. მარის, ვ. ბერიძის, კ. დანელიას, ი. მეუნარგიას შეხედულებები.

დიდი დამარწმუნებლობა ახლავს შ. ძიძიგურის მსჯელობას იმის შესახებ, რომ პროსოდიული „და“-ს ფართო გავრცელებულობა მთელი ე.წ. აღორძინების ხანის პოეზიაში შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, რომ სტროფის ბოლოს არსებული „და“ ტრადიციითაა გამართლებული და მას ღრმა ფესვები აქვს პოეზიაში. სწორედ ამიტომ შ. ძიძიგური ასკვნის, რომ ეს არ შეიძლება იყოს მხოლოდ რომელიმე პოეტის. თუნდაც შოთა რუსთაველის, ენის დამახასიათებელი და დანერგული მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში.

შ. ძიძიგური საინტერესოდ განიხილავს საკითხს, თუ როგორ ხდება ზმნის განმეორება პრევერბის სახით „ვეფხისტყაოსანში“. მას მიაჩნია, რომ ფრაზაში

ზმნის შემოკლებას პრევერბის სახით, რაც დადასტურებულია ძველ ქართულ პოეზიაში, ხალხური საწყისი ეძებნება: ახასიათებს მესხურსა და მოხეურს (მოხეურის ნიშანდობლივი თვისება აღბეჭდილია ალ. ყაზბეგის ენაში). ამრიგად, ქართული კლასიკური პოეტური ენის ეს თავისებურება ხალხური მეტყველების ძველი ნორმაა.

იგულისხმება ამგვარი მაგალითები: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს ვინ არ და“ (სტრ. 582); „ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ წა“ (სტრ. 209); „ღიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესვლითა, შე, ვითა“ (1098) და მისთანანი.

რასაკვირველია, ეს მოვლენა შეუნიშნავი არ დარჩენიათ ნ. მარს, დ. კარიჭაშვილს, ს. კაკაბაძეს, აკ. შანიძეს.

შ. ძიძიგური დამაჯერებლად გვიჩვენებს, რაოდენ მძლავრად და მრავალსახოვნად არის პოემაში გამომდევნებული ქართული მეტყველების სტიქია. რომ ახალი მოსაბრუნე ნეთორმეტე საუკუნის სალიტერატურო ენაში უკვდავი შოთა რუსთაველის გენიის ნაყოფია.

რუსთაველოლოგიაში დღეისათვის ზღვა მასალა მოგვეპოვება, რომელიც ყოველწლიურად ივსება ახალ-ახალი საკითხებით. პროფ. მ. ალავიძემ თავისი სტატიებით გარკვეული წვლილი შეიტანა ამ საქმეში. მ. ალავიძეს ეკუთვნის მნიშვნელოვანი დაკვირვებები შ. რუსთაველის ლექსიკაზე. ასევე, მან განიხილა ლიტერატურა; როგორ ითარგმნა სახელწოდება „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად. ამ სტატიაში მ. ალავიძე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს და განიხილავს პოემის სათაურის 16 ვარიანტს. კერძოდ, 1936 წლიდან საყოველთაოდ მიღებულია შოთა რუსთაველის პოემის სახელწოდება *Витязь в тигровой шкуре*. მანამდე პოემის სათაურს სხვადასხვაგვარად წერდნენ. ერთი ჯგუფის თარგმანში არის: *кожа*, 1914 წლის შემდეგ – *шкура*. მ. ალავიძე არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ცნობილ მხარეთმცოდნე პ. ჯაბუკიანს ეკუთვნოდეს გავრცელებული თარგმანი, თუმცა პ. ჯაბუკიანს ჰქონდა ახლო ურთიერთობა ნ. მართან და გარკვეული წილი უდევს რუსული სახელწოდების დადგენაში.

1912 წლამდე, როგორც მ. ალავიძე წერს, ცნობილია ერთ ათეულზე მეტი რუსული სათაური პოემისა. *Витязь в тигровой шкуре* ამ ტერმინების შემომღებნი იყვნენ ნ. მარი, დ. ჩუბინაშვილი. მრავალი ვარიანტი წარმოგვიდგინა მ. ალავიძემ ამ თარგმანისა, კერძოდ, *Барсова кожа* – ევ. ბოლხოვიტინოვი, *Тигрова кожа* – ა. ფარი დე მანსი, *Тарнель Варсова кожа* – იპ. ბარდინსკი, *Герой покрытый (одетый) барсовой кожей* – ივ. ევლახოვი. ალ. ცაგარელს აქვს სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი: *Носящий Барсову кожу. Покрытый борсовой кожей. Человек (юноша) в борсовой коже* და ა.შ

თვითონ მ. ალავიძე მხარს უჭერს სარგის ცაიშვილის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ აუცილებელია აღდგენილ იქნეს ნიკო მარისეული ზუსტი თარგმანი – *Витязь в борсовой шкуре*.

მ. ალავიძე საოცრად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა შოთა რუსთაველის ენის შესწავლას. ერთ-ერთი ასეთი საკითხია რითმით გამოწვეული მეტათეზისის ნიმუშების წარმოჩენა. მაგალითად, სიტყვა „მადრიელობა“.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წყაროებში მოიპოვება ფორმები „მადლიერობა“ და „მადრიელობა“. „მადრიელი“ გავრცელებული იყო ძველ ქართულში. ფართოდ გამოიყენება ხალხურ მეტყველებაში. შოთასეულ „მადრიელობა“ შეუნიშნავს ნ. მარსაც და მასში ხაზგასმით გამოუყვანია რ ბგერა. „მადრიელში“ ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესს – დისტანციურ მეტათეზისს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში აუცილებლად გასწორდებოდა მეტათეზისის ნიმუში „მადრიელობა“. – ასკვნის მ. ალავიძე, – რომ იგი რითმას არ შეადგენდეს. მკვლევარს მიაჩნია, თუკი შემდეგაც კვლავ დარჩება „მადრიელობა“, მაშინ ეს სიტყვა უნდა განიმარტოს თავისი ლიტერატურული შესატყვისობით („მადლიერობა“). აგრეთვე უნდა აღინიშნოს, „მადრიელი“ ეს სიტყვა გავრცელებულია ხევსურულში, კახურსა და დასავლურ კილოებში.

შოთა რუსთაველმა გამოიყენა ფორმები: სიგულვანე, ციხოვანი, მეციხოვნე. ამ სიტყვებში რითმის საჭიროებისათვის ხან ო განიცდის რედუქციას, ხან ა. ეს ფორმები, როგორც მკვლევარი ასკვნის, შ. რუსთაველის გენიალურ სიტყვათშემოქმედებას კი არ განეკუთვნება, არამედ ახასიათებდა და ახასიათებს ხალხურ ცოცხალ სალაპარაკო ენას.

შ. რუსთაველმა შეისისხლბორცა სიმდიდრე და სიღრმე-სიღიადე ქართველი ხალხის ენობრივი საუნჯისა. ამიტომაც მ. ალავიძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შოთასეული დიალექტური ფაქტობრივი მასალა აუცილებელია ქართველური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. ასეთი სიტყვებია: გვარლი (ბალახის, პურეულის, წნელის გრეხილი რაჭა-ლეჩხუმში), ვრცახე, ნეზბალახა, ცნეული, რუვი, ცქაფი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მხოლოდ ორი ცნობილი მეცნიერის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი ნაღვაწი წარმოვაჩინეთ შოთა რუსთაველის სწორუპოვარი პოემის ენის შესახებ.

რასაკვირველია, დიდია რიცხვი იმ გამოჩენილი ენათმეცნიერებისა, რომელთა ნაშრომები ეხება პოემის ენას შესწავლას, რათა ზუსტად იქნეს გათვალისწინებული ამ დიადი პოემის ადგილი და მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- მ. ალავიძე, 2014 – მ. ალავიძე, ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ნარკვევები, ქუთაისი, 2014.
 შ. რუსთაველი, 1927 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1927.
 შ. ძიძიგური, 1974 – შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.

MARINA KATSARAVA**ISSUES OF LANGUAGE OF SHOTA RUSTAVELI
PRESENTED IN THE WORKS OF GEORGIAN LINGUISTS
(SH. DZIDZIGURI, M. ALAVIDZE)**

The Knight in the Panther's Skin has always been the main focus of interest. The language of the famous poem has been investigated by many researchers including the greatest Georgian scholars such as N. Marr, Ak. Shanidze, Arn. Chikobava, Iv. Gigineishvili, Sh. Dzidziguri, M. Alavidze, K. Danelia, V. Beridze, Sh. Ghlonti, etc.

In his essay "The Fundamentals of Shota Rustaveli's Language" Sh. Dzidziguri notes that the idiom used in the Southern Georgia should be considered as a basis for the language of Shota Rustaveli's poem.

According to Sh. Dzidziguri, the form "du" occurring at the end of stanzas is justified by the tradition. The scholar highlights the fact that the poetic genius of Shota Rustaveli paved the way for novelties in the 12th century literary language.

M. Alavidze presented the variants of the Russian Translation of the poem's title and claimed that the most relevant of these variants would be "Витязь в борсовой шкуре".

Rustaveli combines the variety and depth of treasures of the Georgian language. Therefore, in scholar's opinion, dialect materials applied in Shota Rustaveli's poem represent an integral element for the historical-comparative study of the Kartvelian lexis.